საიაში კავკასიის სამართლის სკოლის ხელმძღვანელებთან და სტუდენტებთან შეხვედრა გაიმართა

18 მაისს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის საკონფერენციო დარბაზში საიას თავმჯდომარე გიორგი ჩხეიძე, აღმასრულებელი დირექტორი ზურაბ ბურდული და საიას იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდის დირექტორი თამარ მეტრეველი კავკასიის სამართლის სკოლის ხელმძღვანელებს და სტუდენტებს შეხვდნენ.

გიორგი ჩხეიძემ სტუმრებს საიას ისტორია გააცნო, ისაუბრა ორგანიზაციაში მიმდინარე

პროექტებზე, მათ როლსა და მნიშვნელობაზე.

სტუდენტების მხრიდან დაისვა მრავალი კითხვა, რომლის შემდგომაც საუბარი გაგრძელდა ქვეყანაში მიმდინარე საკანონმდებლო ცვლილებებზე, არასრულწლოვანთა მხრიდან სამართალდარღვევებზე და სხვა პრობლემატურ საკითხებზე.

შეხვედრის შემდეგ სტუმრებმა დაათვალიერეს საიას იურიდიული ბიბლიოთეკა და იურიდიული დახმარების ცენტრი.

საია ამგვარ შეხვედრებს მომავალშიც გეგმავს.